მ₁ მ₂ მ₃ მ₄ და Δ₁ Δ₂ Δ₃ Δ₄ მნიშვნელობები სხვადასხვა სახის აგრეგატებისათვის

აგრეგატი	Q ₁ ქ/მ ² მ/მ	Q ₂ ქ/მ ² მ/მ	L მ	μ	Δ ₁ ქ/მ ²	Δ ₂ ქ/მ ²	Δ ₃ ქ/მ ²	Δ ₄ მქ/მ ³	შენიშვნა	
ტრაქტორი	კუთონი									
3-50	3-35	25200	4050	200	1,44	3630	13000	16630	166,3	a=0,22 მ.
				500	1,274	3200		16200	162,0	
				1000	1,222	3080		16050	160,8	
-700	8-35	42850	5000	200	1,45	6220	13000	19220	192,0	k=50000 ქ/მ ² , მ/მ
				500	1,282	5500		18500	185,0	
				1000	1,225	5250		18250	182,5	
54	5-35	43200	6750	200	1,61	8280	13500	21780	217,8	f _T = 0,1 და 0,08
				500	1,33	7100		20600	206,0	
				1000	1,30	6680		20180	201,8	
-74	4-35	41150	4500	200	1,654	5450	13500	18950	189,5	f _M = 0,25
				500	1,39	4550		18050	180,5	
				1000	1,3	4280		17780	177,8	
-75	6-35	29800	6380	209	1,668	6110	13500	19610	196,1	
				500	1,34	5370		18370	188,7	
				1000	1,4	5110		18610	186,1	
					1,27					
					1,312					
					1,245					

როგორც ამ დიაგრამებიდანაც ჩანს, ენერჯის დანაკარგები ხენის დროს მკვეთრად იზრდება 500 მ-ზე ნაკლებად საქცევის სიგრძის შემცირების შემდეგ. 500 მ-დან 1000 მ-მდე საქცევის სიგრძის ზრდისას დანაკარგები მკვეთრად მცირდება და 1000 მ-ზე მეტი საქცევის სიგრძის შემთხვევაში დანაკარგების შემცირება უმნიშვნელოა. ეს მოვლენა მეტად საყურადღებოა მთავორიანი რაიონების პირობებისათვის, რადგან საქცევების სიგრძე ხშირად არ აღემატება 200 მ-ს.



ნახ. 2.

ამ დიაგრამებიდან აგრეთვე ჩანს, რომ დანაკარგების კოეფიციენტი მუხლუნა ტრაქტორებით ხენის დროს უფრო მეტია, ვიდრე თვლიანი ტრაქტორებით ხენის დროს. ეს გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მუხლუნა ტრაქტორის ტრანსმისიის მ.ჭ.კ-კოველთვის ნაკლებია თვლიანი ტრაქტორის მ.ჭ.კ.-ზე და მოსახვევის მ.ჭ.კ. (η_{μ}) თვლიანი ტრაქტორისათვის ერთის ტოლია, მუხლუნისათვის კი ერთზე ნაკლებია (0,9 — 0,6).

როგორც ეფექტური კუთრი ენერგოდანახარჯების ფორმულებიდან ჩანს, იგი შედგება ორი სიდიდისაგან—აგრეგატის გადაადგილებისათვის საჭირო ენერგოდანახარჯების—ტრანსპორტირების კუთრი ენერგოდანახარჯების ($A_{\text{ტრ}}$) და ტექნოლოგიური პროცესის შესასრულებლად საჭირო ენერგოდანახარჯების—სასარგებლო კუთრი ენერგოდანახარჯების ($A_{\text{ნ}}$) ჯამისაგან.

$$A_{\text{ფე}} = A_{\text{ტრ}} + A_{\text{ნ}}$$

თითოეული ამ სიდიდის რიცხვითი მნიშვნელობები სხვადასხვა სახენელი აგრეგატისათვის მოცემულია მე-2 ცხრილში და ეფექტური კუთრი ენერგოდანახარჯების




ხარჯების ცვალებადობის ხასიათი საქცევის სიგრძის ცვალებადობის შესახებ
 სად სხვა ერთნაირ პირობებში მოცემულია დიაგრამაზე (სურ. 3). გიბსონიძე

ცხრილი 3

სახენელი აგრეგატის ხაწევის ხარჯი და მწარმოებლობა

აგრეგატი		საქცევის სიგრძე L მ		საწევის ხარჯი კვ/კა		მწარმოებლობა კა/ცლი		შენიშვნა
ტრაქტორი	გუთანა	საქცევის სიგრძე L მ	მშობლური ლითონის დანახარჯი კა/მ/კა	ანალიზური მეთ.	ГОСНИТИ-ს მეთოდით	ანალიზური მეთ.	ГОСНИТИ-ს მეთოდით	
ДТ-54А	ИИ-35	200	217,8	16,5	16,5	3,65	3,9	$\Theta_0=4$ კვ/სთ. $k=0,6$ კვ/სმ ² $Ne=38$ კვტ.
		500	206,0	15,8	15,5	3,94	4,2	
ДТ-54		1000	201,8	15,5	15,1	4,06	4,4	
МТЗ-50Л	ИИИ-35	200	166,3	14,2	14,5	3,2	3,1	$\Theta_0=3$ კვ/სთ. $k=0,51$ კვ/სმ ² $Ne=26,5$ კვტ.
		500	162,0	13,78	13,9	3,31	3,3	
МТЗ-50		1000	160,8	13,7	13,7	3,39	3,4	

მე-2 ცხრილიდან და მე-3 დიაგრამიდან ნათლად ჩანს, რომ ერთნაირ პირობებში სხვადასხვა შედგენილობის აგრეგატით ხვნის დროს იხარჯება ენერჯის სხვადასხვა სიდიდე. ამავე დროს ყველა შემთხვევაში, ენერჯის ხარჯი მკვეთრად იზრდება 500 მ-ზე ნაკლებად საქცევის სიგრძის შემცირების პარალელურად. ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიექცეს ტექნიკური ნორმირების დროს.



ცხ. 3.



გარდა ზემოთხსენებულ ფორმულებში შესული ფაქტორებისა ენერგოდანახარჯებზე გავლენას ახდენს სხვა ფაქტორებიც, როგორცაა ფერდობის კუთრი და ფერდობზე აგრეგატის მოძრაობის მიმართულება. თუ ამ ფაქტორებსაც გავითვალისწინებთ ეფექტური კუთრი ენერგოდანახარჯების ფორმულა მიიღებს შემდეგ სახეს:

$$A_{ay} = \left(f q \cos \alpha + \frac{a(k + \varepsilon v^2)}{\eta_m \eta_z} \right) \delta_0$$

სადაც α არის ფერდობის დახრის კუთხე; δ_0 — ფერდობის გავლენის გამთვალისწინებელი კოეფიციენტი და განისაზღვრება ფორმულით

$$\delta_0 = \frac{1}{\cos \left(\arctg \frac{\sin \alpha}{f_r \cos \alpha + k \frac{aB}{G}} \right)}$$

ბ) ფერდობის გასწვრივ (აღმა-დაღმა) მოძრაობის შემთხვევაში

$$A_{ay} = \left(f q \cos \alpha + \frac{a'k + \varepsilon v^2}{\eta_m \eta_z} \right)$$

ამრიგად, ანალიზურ ფორმულებით ენერგოდანახარჯების გაანგარიშებისას შესაძლებელია გაითვალისწინებულ იქნეს ყველა ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ეფექტური ენერჯის კუთრ ხარჯზე.

საწვავის ხარჯის გაანგარიშების ანალიზური მეთოდი

ცნობილია, რომ საწვავის ხარჯი პირდაპირპროპორციულია ეფექტური კუთრი ენერგოდანახარჯებისა (A_{ay}). ვინაიდან ზემოთ ჩამოვთვალეთ ამ სიდიდის A'_{ay} განსაზღვრის მეთოდი, საშუალება გვქვია ანალიზური მეთოდით განვსაზღვროთ საწვავის ხარჯიც.

რადგან აგრეგატის მუშაობის დროს ადგილი აქვს გაცდენებს სხვადასხვა მიზეზით, ამიტომ აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ დროის გამოყენების კოეფიციენტები, ძრავის უქმი მუშაობის შესაბამისი საწვავის ხარჯი, ზღვის დონიდან სიმაღლის გავლენა და სხვ, მაშინ საწვავის ხარჯის საანგარიშო ფორმულა მიიღებს სახეს:

$$\Theta_F = A'_{ay} \frac{g_e}{3,6 \eta_h} \left(1 + \frac{\Theta_{\sigma\tau_0}}{g_e N_e \tau} \right) \text{ კგ/კა}$$

სადაც A'_{ay} არის ეფექტური კუთრი ენერგოდანახარჯები მჯ/კა;
 g_e — საწვავის კუთრი ხარჯი, მოცემულ ეფექტურ დატვირთვაზე კგ/ე. კვტ. სთ;
 η_h — სიმაღლის მ.ქ.კ., იგი განისაზღვრება ემპირიული ფორმულით



$$\eta_A = \frac{1}{1 + 5 \cdot 10^{-6}} h, \text{ სადაც } h \text{ არის სიმაღლე ზღვის დონიდან } \eta_A \text{ სიმაღლეზე}$$

საწვავის საათური ხარჯი ძრავას უკმ მუშაობაზე კვ/სთ, τ_0 —დროის გამოყენების კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ვაცდენებს—აგრეგატის დგომას ძრავას მუშაობით; N_e —ძრავას ეფექტური სიძალადევა, კვტ; τ —დროის გამოყენების კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ყოველგვარ ვაცდენებს.

შედარებისათვის და საწვავის ხარჯის განსაზღვრის ანალიზური მეთოდის სიზუსტისა და მოხერხებულობის ნათელსაყოფად მე-3 ცხრილში მოცემულია საწვავის ხარჯის მნიშვნელობები განსაზღვრული ჩვენ მიერ დამუშავებული ანალიზური მეთოდით და ჩვენში დღეისათვის დამკვიდრებული ნორმატიული მეთოდით (ГОСНИТИ-ს მეთოდით).

ამ ცხრილიდან ნათელია, რომ ანალიზური მეთოდით განსაზღვრული და ნორმატიული მეთოდით განსაზღვრული საწვავის ხარჯის სიდიდეები ერთმანეთისაგან თითქმის არ განსხვავდებიან, რაც მიგვითითებს დამუშავებული ანალიზური მეთოდის დიდ პრაქტიკულ ღირებულებაზე.

ამრიგად, ხვანაზე დახარჯული კუთრი ენერგიის განსაზღვრის ანალიზური მეთოდი შესაძლებლობას გვაძლევს მოცემული კონკრეტული აგრეგატისათვის, კონკრეტული აგროტექნიკური და ბუნებრივ-რელიეფური პირობების გათვალისწინებით განვსაზღვროთ ფართის ერთეულზე დახარჯული მექანიკური ენერგიის სიდიდე, რის მიხედვითაც ადვილად განისაზღვრება ისეთი საექსპლუატაციო მაჩვენებლები, როგორცაა საწვავის ხარჯი, გამომუშავების ნორმა და სხვ.

კუთრი ენერგოდანახარჯების განსაზღვრის ანალიზური მეთოდი შესაძლებლობას გვაძლევს საპირო გამოთვლები ჩატარდეს ელექტროგამომთვლელი მანქანების გამოყენებით, რაც კიდევ უფრო გააადვილებს და მოხერხებულს გახდის მეურნეობებში აგრეგატების გამომუშავებისა და საწვავის ხარჯის დაგეგმვისა და განაწილების საკითხს.

ლიტერატურა

1. ვედენიანი ს. ვ., კირტაია ი. კ., სერგეევი მ. პ.—მტპ, ექსპლუატაცია მ., 1968.
2. სატრაქტორო და მექანიზებულ ძირითად სამუშაოთა ცვლის გამომუშავებისა და საწვავის ხარჯის ნორმის კრებული—თბ. 1968.
3. მექანიზებულ საველე სამუშაოთა ტექნიკური ნორმირება, მ. 1961.



საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომების
 შრომის წითელი დროშის ორდენისა

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შრომათა, ბ. ხსენებული
 შრომების

ТРУДЫ ГРУЗИНСКОГО ОРДЕНА ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ
 СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ИНСТИТУТА, т. ХС, 1974 г.

ა. ზაზაშვილი, ლ. ძიგბერიძე

ნიადაგის მინერალური და მუხაგების ბიქნოლოგიური პროცესი

თანამედროვე ნიადაგდამამუშავებელი მანქანების სამუშაო ორგანოებს საფუძვლად უდევს სამუხანაგოვანი სოლი, რომლის კლასიკურ განვითარებას გუთნის ტანის სამუშაო ზედაპირი წარმოადგენს.

გუთნის ტანის სამუშაო ზედაპირმა ერთდროულად უნდა უზრუნველყოს ნიადაგის მოჭრა, მისი გადაბრუნება და გაფხვიერება, მაგრამ ერთ სამუშაო ზედაპირზე ყველა ზემოხსენებულ მოთხოვნილებათა შეთავსება სხვადასხვა ნიადაგობრივი პირობებისათვის ყოველთვის როდია შესაძლებელი. მიუხედავად იმისა, რომ ნიადაგის პირველადი დამუშავებისათვის გამოყენებული გუთნის ტანის ფორმა და პარამეტრები ისტორიული გამოცდილებითაა დადგენილი და შემოწმებული, ის მაინც ვერ უზრუნველყოფს ერთი გავლით ნიადაგის თესვისათვის მომზადებას და მოითხოვს მთელი რიგი დამატებითი ოპერაციების ჩატარებას, როგორცაა კულტივაცია, აოშვა, დაფარცხვა და სხვ.

ნიადაგის თესვისწინა დამუშავების აღნიშნული ზერზების გამოყენება აუცილებელია მაშინ, როდესაც გვაქვს მძიმე წებვადი ნიადაგები.

გუთნები მუშაობის მალალ ხარისხს უზრუნველყოფენ სტრუქტურული ნიადაგების დამუშავებისას ნორმალური ტენიანობის დროს. ასეთი პირობებისათვის გუთნები წარმოადგენენ ნიადაგის დამუშავების ყველაზე ეფექტურსა და უნივერსალურ იარაღს. ზოლო ზოგიერთი სპეციფიკური პირობებისათვის, სადაც ფრთიანი გუთნებით დამუშავება არ იძლევა დადებით შედეგებს და უფრო მეტიც, რომდენადმე ართულებს ნიადაგის მომზადებას თესვისათვის, ისმება საკითხი ნიადაგის დამუშავების სხვა მეთოდების გამოყენების შესახებ. ასეთ სპეციფიკურ პირობებს მიეკუთვნება მთის ფერდობის, დამლაშებული ნიადაგისა და ნაწვერალის დამუშავება, სადაც ფრთიანი სამუშაო ორგანოებით დამუშავება ხასიათდება მთელი რიგი ტექნოლოგიური და ენერგეტიკული ნაკლოვანებებით.

ცნობილია, რომ ფერდობებზე ხენას აწარმოებენ გრძივი მიმართულებით. ფერდობის გასწვრივ ნიადაგის დამუშავების დროს ირღვევა ტრაქტორის გრძივი მდგრადობა, წვეის ძალის გარკვეული ნაწილი ინარჩუნება აღმართის დაძლევაზე, მაგრამ რაც მთავარია, ხენა ფერდობის გასწვრივ არ არის მისაღები ტექნოლოგიური თვალსაზრისით, ვინაიდან გუთანა, როგორც ცალმხრივი იარაღი, ქმნის

ნაზურგს და ნაღარას, რომლებიც ღვარცობითი ეროზიული მოვლენების ქმნიან. ეროზიულ მოვლენებს ხელს უწყობს აგრეთვე გუთნის სამუშაო ზედაპირის მიერ შექმნილი ზედაპირის უსწორმასწორობა (თხემიანობა).

ფერდობის განივად დამუშავება ერთი შეხედვით უნდა ხასიათდებოდეს ეროზიული მოვლენებისადმი მეტი მდგრადობით. ეს მართლაც ასე იქნებოდა, რომ ხვნა ზუსტად პორიზონტალების მიმართულებით წარმოებდეს, რაც პრაქტიკულად გაძნელებულია და ეროზიულ მოვლენებს მაინც აქვს ადგილი. ამის გარდა, ირღვევა აგრეგატის განივი მდგრადობა, იცვლება იარაღის მოდების განი და დამუშავების სიღრმე ზედა და ქვედა კვალში. ზედა კვალის შემთხვევაში არადა-მაკმაყოფილებელია ბელტის გადაბრუნება.

უკანასკნელ პერიოდში, როგორც საზღვარგარეთ, ასევე საბჭოთა კავშირში მიმდინარეობს სერიოზული მუშაობა ე. წ. „ნიადაგის მინიმალური“ დამუშავების ტექნოლოგიის ეფექტურობის შესასწავლად.

ნიადაგის მინიმალური დამუშავების ქვეშ იგულისხმება ნიადაგის მოშადება თესვისათვის და თესვა ამ დანიშნულებისათვის განკუთვნილი იარაღების გავლათა რაოდენობის მინიმალური შეზღუდვით, ე. ი. ნიადაგის ძირითადი, თესვისწინა დამუშავებისა და თესვის ოპერაციების მინიმუმამდე შემცირება. რიგ შემთხვევაში ნიადაგის მინიმალური დამუშავების ქვეშ იგულისხმება მისი მოშადება თესვისათვის და თესვა აგრეგატის ერთი გავლით.

ნიადაგის მინიმალური დამუშავების უპირატესობად უნდა ჩაითვალოს მისი ეკონომიურობა. ამასთანავე როგორც გამოკვლევები გვიჩვენებენ, იგი ეროზიის საწინააღმდეგოდ ბრძოლის და ნიადაგში წყლისა და ჰაერის რეჟიმის რეგულირების საუკეთესო საშუალებაა.

ნიადაგის მინიმალური დამუშავების ტექნოლოგია განსაკუთრებით ყურადსაღებია მთის ფერდობების დასამუშავებლად, სადაც არსებული ტექნოლოგიით გათვალისწინებული ნიადაგის მრავალჯერადი დამუშავება თესვისათვის მოსაშადებლად, მნიშვნელოვნად აძლიერებს ქარისა და წყლისმიერ ეროზიულ მოვლენებს. ნიადაგის მინიმალური დამუშავების ტექნოლოგია, ისეთი სამუშაო ორგანოების შერჩევით, რომლებიც არ ახდენენ ნიადაგის ბელტის გადაბრუნებას და მხოლოდ აფხვიერებენ სასურველ სიღრმეზე, წარმატებით შეიძლება გამოყენებული იქნეს დამლაშებული ნიადაგების ასათვისებლად და მათი შემდგომი დამუშავებისათვის.

ცნობილია, რომ სანაწევრლო კულტურების ეფექტურობა დიდადაა დამოკიდებული მათი თესვის მინიმალურ ვადებში ჩატარებაზე, რაც ნიადაგის მინიმალური დამუშავების ტექნოლოგიის გამოყენებისას ადვილად მიიღწევა.

ჩვენი რესპუბლიკისათვის დამახასიათებელი კლიმატური პირობების—ნალექების არათანაბარი განაწილების, ძლიერი ქარების, ჰაერის მაღალი ტემპერატურისა და სხვა მიზეზების გამო ყოველთვის არ არის პირობები ნიადაგის სიძწიფის პერიოდში დამუშავებისა, რის შედეგადაც ხსული მსხვილბელტიანია და თესვისათვის მოსაშადებლად საჭიროებს შემდგომ მრავალჯგის დამუშავებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ნიადაგის მინიმალური დამუშავების



ტექნოლოგიური პროცესის გამოყენებას ჩვენი რესპუბლიკის ნიადაგობრივ პირობებისათვის მეტად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

არსებობს ნიადაგის მინიმალური დამუშავების სხვადასხვა ტიპები. ზოგიერთ ვარიანტში ფრთიანი სამუშაო ორგანოებით ნიადაგის მოხვნა რჩება ძალაში და მინიმალური დამუშავება ვრცელდება თესვისათვის ნიადაგის მომზადების ოპერაციების შესრულებაზე. ამ მიზნისათვის უმეტესად გამოყენებულია როტაციული ტიპის სამუშაო ორგანოები. სხვა ვარიანტებში ძირითადი ხენა-ფრთიანი სამუშაო ორგანოებით არ წარმოებს. ამ შემთხვევაში ნიადაგის დამუშავება ხორციელდება ბრტყლადმჭრელი და გამაფხვიერებელი სამუშაო ორგანოებით, რომლებიც ერთი გავლით ამზადებენ ნიადაგს თესვისათვის.

ნიადაგის მინიმალური დამუშავების გამოცდილებამ აჩვენა, რომ დამუშავების ეს ახალი წესი ხასიათდება მთელი რიგი აგროტექნიკური უპირატესობებით.

ცნობილია, რომ ნიადაგის დამუშავების სტანდარტული მეთოდი ითვისისწინებს ნაკვეთის მოხვნას, მის ომჯასა და დაფარცხვას, რის გამოც ნიადაგი ძლიერ მტვერიანდება. ნიადაგის წვრილკომპოზიციანი სტრუქტურა უფრო მეტად განიცდის გამკვრივებას და ეროზიულ ზეგავლენას.

ნიადაგის მინიმალური დამუშავების ტექნოლოგია საუკეთესო პირობებს ქმნის როგორც თესვის აღმოცენებისათვის, ასევე მცენარის ფესვთა სისტემის განვითარებისათვის.

ნიადაგის მინიმალური დამუშავების მეთოდების უმეტესობა უზრუნველყოფს ნიადაგში ორგანული ნივთიერებების დაგროვებას და ტენის შენარჩუნებას დიდი ხნის განმავლობაში.

მინიმალური დამუშავების ტექნოლოგიური პროცესის გამოყენების დროს თავიდან არის აცილებული ნიადაგის ზედა ფენაში ზედმეტი წყლის დაგროვება. გაფხვიერებულ ნიადაგში წარმოიქმნება დიდი რაოდენობის მსხვილი ფორები, რის საშუალებითაც ზედაპირული წყლები ადვილად აღწევენ ნიადაგის სიღრმეში. იგი აადვილებს აგრეთვე სარეველებთან ბრძოლას.

მართალია ნიადაგის მინიმალური დამუშავების მეთოდების გამოყენება ტვირთავს სამუშაოებით თესვის პერიოდს, მაგრამ ტრაქტორების ჯამური სიმძლავრე ძირითადად იხარჯება მხოლოდ ორი ოპერაციის შესრულებაზე: ხვნასა და თესვაზე.


იმ შემთხვევაში თუ გაიზრდება მეურნეობის ენერგოაღქურვილობა, შესაძლებელი იქნება ხვნა გადატანილი იქნეს გაზაფხულზე. ეს კი უზრუნველყოფს ნაკვეთების დაცვას ეროზიისაგან მთელი ზამთრის განმავლობაში.

სას.-სამ. ტრაქტორების სიმძლავრის გადიდება განსაკუთრებულ პერსპექტივას იძლევა გადავიდეთ ნიადაგის საგაზაფხულო მინიმალურ დამუშავებაზე.

ნიადაგის მინიმალური დამუშავების იმ გამოცდილებათა საფუძველზე, რომელიც საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ქვეყნებშია, და აგრეთვე, რესპუბლიკის ზონალური პირობების გათვალისწინებით კ. ამირაჯიბის სახელობის საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში შემუშავებული იქნა ნიადაგის მინი-



მალური დამუშავების ტექნოლოგიური სქემა, რომელიც აგებულია „ქუთაისის ქარხანის“ პრინციპზე და, პირველ რიგში, გათვალისწინებულია მარცხენა კარბონატების და მარცხენა ნიადაგებისა და ნაწვერალზე სიმინდის მოვლა-მოყვანისათვის (ხაზ. 1).



ხაზ. 1.

ნიადაგის მინიმალური დამუშავების ტექნოლოგიური სქემის არსი შემდეგში მდგომარეობს: ნიადაგის ძირითადი ზედაპირული დამუშავება წარმოებს ბრტყლადმჭრელი სამუშაო ორგანოებით 8—10 სმ-ის სიღრმეზე ბელტის გადაბრუნების გარეშე (2). რიგთაშორისების სიდიდის მიხედვით ზოლებრივად ხდება ნიადაგის გაფხვიერება 20—25 სმ-ის სიღრმეზე, —სატეხისებრი გამაფხვიერებელი სამუშაო ორგანოებით (1). გაფხვიერებულ ზოლში ხდება თესვის ჩათესვა 6—8 სმ-ის სიღრმეზე მაჩოჩისებრი ჩამათესების საშუალებით (3).

ზემოთ აღწერილი ტექნოლოგიური სქემით გათვალისწინებული ყველა ოპერაცია: ნიადაგის ზედა ფენის ბრტყლად მჭრელით დამუშავება, ჩასათესი ზოლის ღრმად გაფხვიერება და თესვა გაერთიანებულია ერთი მანქანის ფუნქციებში და სრულდება აგრეგატის ერთი გავლით.

ნიადაგის მინიმალური დამუშავების ტექნოლოგიური სქემის ეფექტურობის დადგენის მიზნით, შეიქმნა ექსპერიმენტული სახის ნიადაგის მინიმალური დამუშავების მანქანის საცდელი ნიმუში, რომელმაც საველე-ლაბორატორიული გამოცდა გაიარა აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა ნიადაგობრივ პირობებში და მიღებულია დადებითი შედეგები, რაც ნათლად ჩანს ცხრილიდან.

როგორც ცხრილიდან ჩანს, არსებული ტექნოლოგიით ძირითადი ოპერაციების (ხვნა, ფარცხვა, თესვა) შესრულებისათვის საჭირო საექსპლუატაციო დანახარჯების სიდიდე მზარდის, დამლაშებული ნიადაგებისა და ნაწვერალის თითოეული ჰექტარის დამუშავებაზე საშუალოდ შეადგენს 5-მან. და 58 კაპ.



№ №	ელის ვარიანტები	შრომის დანახარჯები კაც/სთ. ჰა-ზე			საექსპლუატაციო და- ნახარჯები მან. ჰა-ზე			არსებული ტექნო- ლოგიით ჩატარე- ული ოპერაციები და გამოყენებული მანქანები
		არსე- ბული ტექნო- ლო- გიით	ნიადავის მინიმალუ- რი დამუ- შავების ტექნო- ლოგიით	შრო- მის დან- ხარჯე- ბის შე- ძვირე- ბა (ჭე- რადო- ბით.)	არსე- ბული ტექნო- ლო- გიით	ნიადა- ვის მი- ნიმალ- ური დამუ- შავე- ბის ტექ- ნოლო- გიით	საექს- პლუა- ციო და- ნა- ხარ- ჯების შემცო- რება	
1	ნაწვერალის დამუ- შავება-თესვა	5,56	1,36	4,08	5,74	1,77	3,24	1. ზენა II-5-35 2. ფარცხვა-2 ჯერ ВДНТ-2,7
2	შრაღის დამუშა- ვება-თესვა	5,04	1,36	3,70	4,91	1,77	2,77	3. თესვა СКНК-6. 1. ზენა II-5-35 2. ფარცხვა ВДНТ- 2,2
3	დამლაშებელი ნია- დაგავის დამუშავე- ბა-თესვა	5,68	1,36	4,17	6,11	1,77	3,45	3. თესვა СКНК-6. 1. ზენა ПВ-5-35 2. ფარცხვა 2-ჯერ ВДНТ-2,2
4	ხაშვალოდ ერთ ჰექტარზე	5,42	1,36	3,98	5,58	1,77	3,15	3. თესვა СКНК-6

ან 5,42 კაც/სთ ერთ ჰაზე. ნიადავის მინიმალური დამუშავების ტექნოლოგიის („დამუშავება-თესვა“) და ექსპერიმენტული მანქანის გამოყენებით კი ეს სი-
დიდე ყოველ ჰა-ზე უდრის 1 მან. 77 კაპ. ან 1,36 კაც/სთ. ჰა-ზე.

მაშასადამე, ნიადავის მინიმალური დამუშავების ასეთი ტექნოლოგიური
სქემით მომუშავე ექსპერიმენტული მანქანის გამოყენებით არსებულთან შე-
დარებით ყოველ ჰა-ზე შრომითი დანახარჯები საშუალოდ შემცირდება 3,98-
ჯერ, ხოლო საექსპლუატაციო დანახარჯები კი მცირდება 3,15-ჯერ.

გარდა ამისა, ნიადავის მინიმალური დამუშავების ტექნოლოგიური პრო-
ცესის („დამუშავება-თესვა“) გამოყენების უპირატესობა მდგომარეობს იმაში,
რომ ყველა ტექნოლოგიური პროცესი (ნიადავის პირველადი დამუშავება, თეს-
ვისწინა დამუშავება და თესვა) სრულდება 3—4-ჯერ უფრო ნაკლებ დროში,
ვიდრე არსებული ტექნოლოგიისა და არსებული მანქანების გამოყენებისას.

ალსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ 1972 წელს სსრ კავშირის სოფლის მე-
ურნეობის სამინისტროს სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშე-
ნებლობის სამინისტროს, გამომგონებლებისა და რაციონალიზატორთა საკავში-
რო საზოგადოების ცენტრალური საბჭოსა და სოფლის მეურნეობის სამეცნიერ-
ო-ტექნიკური საზოგადოების ცენტრალური სამმართველოს მიერ გამოცხადე-
ბული იყო საკავშირო კონკურსი—„მარცვლეული და პარკოსანი კულტურე-
ბის, ბალახის, შაქრის ჰარხის, სიმინდისა და მზესუმზირას მოყვანისათვის
ახალი შეთანაწყობილი ოპერაციების ტექნოლოგიის შემუშავების და ამ ტექნო-
ლოგიური პროცესის განსორციელებისათვის გამოყენებული ნიადაგდამამუშა-
ვებელი და სათესი კომბინირებული სამუშაო ორგანოებისა და მანქანის შექ-
მნის შესახებ“.



კონკურსში მონაწილეობის მისაღებად გაგზავნილი იქნა ზემოთ აღნიშნული წინადადება—„ნიადაგის მინიმალური დამუშავების ტექნოლოგიური პროცესი—დამუშავება—თესვა“—რომელმაც კონკურსის ჟიურის წევრების დასახურა და რეკომენდებული იქნა წარმოებაში დასანერგად.

М. И. ГУГУШВИЛИ, А. Ф. КЕРТКОВ

ТЕХНОЛОГИЧЕСКИЙ ПРОЦЕСС МИНИМАЛЬНОЙ ОБРАБОТКИ ПОЧВЫ

Резюме

Для некоторых специфических условий, где обработка почвы отвальными орудиями не дает положительных результатов и даже в некоторой степени, усложняет подготовку почвы к посеву, имеются попытки использования способов минимальной обработки почвы.

Под минимальной обработкой почвы подразумевается подготовка почвы для посева и посев — минимальное ограничение количества проходов орудий, предназначенных для этих целей, т. е. минимальное уменьшение числа проходов агрегата для выполнения предпосевной обработки почвы и посевочных операций.

Для почвенных условий Восточной Грузии предлагается применить технологическую схему минимальной обработки почвы, называемую «обработка—посев», которая объединяет операции основную и предпосевную обработки почвы и посева. Все операции осуществляются одним проходом агрегата, что дает возможность удешевить полевые работы, уменьшить эрозию почвы.

Данная технологическая схема положена в основу экспериментальной машины, построенной в ГрузНИИМ ЭСХ.

Минимальная обработка почвы уменьшает количество проходов агрегата на участке и характеризуется существенными преимуществами обработки почвы по сравнению с обычной технологией.





პ. ზაბაღაძე

სივრცითი ფრაქირების კინემატიკის ზოგირითი საკითხი

ხელმძღვანელი პროფ. მ. გუგუშვილი

უსაფარველო ზონის ვენახების მწყრივთაშორისებში ნიადაგის დამუშავების შემდეგი ოპერაციები სრულდება: კულტივაცია, ღრმა გაფხვიერება, სამომოდგომო—„ნალარად“ და საგაზაფხულო—„ნაზურგად“ ხენა. ამ ოპერაციების ხარისხიანად შესრულებისათვის, როგორც ზოგიერთი გამოკვლევა მოწმობს, მიზანშეწონილია გამოყენებული იქნეს ვერტიკალური და ვერტიკალის მიმართ დახრილურძიანი ფრეზული სამუშაო ორგანოები დანების დისკოზე ღერძის პარალელური დაყენებით.

აღნიშნული ტიპის ფრეზულმა სამუშაო ორგანოებმა მრავალ მცენიერ-მკვლევართა სერიოზული ყურადღება მიიპყრო თავიანთი კონსტრუქციული და ნიადაგზე ზემოქმედების თავისებურებათა გამო. ეს თავისებურებები შემდეგია:

1. ერთი და იგივე ფრეზული სამუშაო ორგანოთი შეიძლება შესრულდეს ზემოთ აღნიშნული ოპერაციები ღერძის მდებარეობის მიხედვით.
2. გამოირჩეულია სარეველების დახვევა ფრეზულ დანაზე ვერტიკალთან დახრილი მბრუნავი ღერძის შემთხვევაში.
3. ისინი იძლევიან მცენარის ძირთან სამუშაო ორგანოს მიახლოების შესაძლებლობას.

ზემოხსენებული ნიადაგდამამუშავებელი ფრეზული იარაღების მიერ შესრულებული ტექნოლოგიური პროცესის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, უნდა იქნას წყაყაყებული სამუშაო ორგანოების პარამეტრების თეორიული გაანგარიშებისა და დამაროექტების სწორად შესწავლისადმი.

ვინაიდან ნიადაგის სივრცითი ფრეზირების საკითხები ნაკლებად არის შესწავლილი და გამოკვლეული, ამიტომ შევეცადეთ დავედგინა აქტიურთი კავშირი ფრეზული სამუშაო ორგანოების ზოგიერთ პარამეტრებს შორის.

ნიადაგის სივრცითი ფრეზირების ღრის შეიძლება გვექონდეს ფრეზული ღერძის მდებარეობის სხვადასხვა შემთხვევა:

1. ფრეზული ღერძი ვერტიკალის მიმართ დახრილია α -კუთხით და მისი გვერდითი პორიზონტალურ სიბრტყეზე ადგენს β -კუთხეს ფრეზის გადაადგილების გრძივ მიმართულებასთან, ე. ი. $\alpha \neq 0$; $\beta \neq 0$; („ნაზურგად“ და „ნალარად“ ხენის შესაბამისი პროფილით ფრეზირება).

2. ფრეზული ღერძი ვერტიკალის მიმართ დახრილია გრძელ ვერტიკალურ სიბრტყეში, ე. ი. $\alpha \neq 0$, $\beta = 0$ (კულტივაციისა და ღრმა გათხეხვების შესაბამისი ფრეზირება).

3. ფრეზული ღერძი ვერტიკალის მიმართ დახრილია ვრცელ სიბრტყეში, ე. ი. $\alpha \neq 0$, $\beta = \frac{\pi}{2}$ (მცენარის ძართან ფრეზის მიახლოების შესაძლებლობა).

4. ღერძი ზუსტად ვერტიკალურია, ე. ი. $\alpha = 0$; $\beta = 0$.

განვიხილოთ ფრეზული ღერძის მდებარეობის პირველი შემთხვევა $\alpha \neq 0$; $\beta \neq 0$, რომელიც ვერტიკალურ ღერძთან ფრეზისათვის ზოგადი შემთხვევაა. ამ შემთხვევაში ფრეზული სამუშაო ორგანოს მკრედი პირი ისე, როგორც სხვა აქტიური ნაწილები, ასრულებს რთულ მოძრაობას, სახელდობრ: გადატანით— v_x ტრაქტორის გადაადგილების მიმართულებით და წრიულ მოძრაობას თავისი ღერძის გარშემო ω კუთხური სიჩქარით.

ზემოხსენებულ ფრეზული დაწესებულებაში სივრცით ფრეზირების დროს აღწერს მრუდს, რომლის განტოლებების შეაწავლისათვის შევარჩიეთ უძრავი მართკუთხა $OXYZ$ კოორდინატთა მარცხენა სისტემა ისეთნაირად, რომ კოორდინატთა სათავე O ემთხვეოდნა მბრუნავი დანის ბოლო წერტილის მიერ შემოწერილი r_2 რადიუსიანი წრეწირის ცენტრი. მბრუნავი ღერძი ძვეს OX აბსციისად კუთხით განხრილ OZ აპლიკატზე გამავალ P_0 სიბრტყეში და OZ აპლიკატის მიმართ ადგენს α კუთხეს (ნახ. 1).

დავუშვათ, რომ ფრეზულ დისკოზე დამაგრებული დანა ძვეს OZ ღერძის გარშემო r_2 რადიუსით შემოწერილ სიბრტყესა და XOY სიბრტყის გადაკვეთის ხაზზე. ეს ხაზი OX ღერძიდან დაცილებულია $r = \frac{\pi}{2}$ — β კუთხით.

დანის რაღაც მოძრაობის დროს ნებისმიერი M_0 წერტილის მიერ აღწერილი ტრაქტორიის შესასწავლად დანის ბოლო წერტილის მიერ შემოწერილ სიბრტყეზე მოვათავსეთ $OX_1Y_1Z_1$ პირობითი კოორდინატთა სისტემა ისეთნაირად, რომ მისი კოორდინატთა სათავე ემთხვეოდნა $OXYZ$ კოორდინატთა სათავეს და OX_1 ღერძი გადიოდა M_0 წერტილში და დანის ბრუნვის სიბრტყეთან ერთად მოძრაობდა $OXYZ$ უძრავი სისტემის მიმართ.

მოძრაობის დაწყების წინ A დანის M_0 წერტილას კოორდინატები სისტემის მიმართ იქნება: $M_0(X_1, Y_1, Z_1)$ ანუ $M_0(r_2, 0, 0)$.


ვთქვათ, რაღაც დროში მონაკვეთში $OX_1Y_1Z_1$ მოძრავი კოორდინატთა სისტემა შემობრუნდა OZ_1 ღერძის გარშემო $\varphi = \omega t$ კუთხით და გადაადგილდა ტრაქტორთან ერთად რომელიღაც v_x მანძილზე, მაშინ A დანის M_0 წერტილი OX_1 ღერძთან ერთად აღმოჩნდება M წერტილში, OX_1 დაიკავებს OX_2 მდებარეობას, OY_1 კი— OY_2 მდებარეობას, M წერტილის კოორდინატები $OXYZ$ სისტემის მიმართ იცვლება და ამიტომ შეგვიძლია დავწეროთ:

$$X = f_1(t) \quad (1)$$

$$Y = f_2(t) \quad (2)$$

$$Z = f_3(t) \quad (3)$$

სადაც f_1, f_2, f_3 დროის უწყვეტი ფუნქციებია. თუ ეს ფუნქციები ცნობილია, მაშინ ცნობილი იქნება M წერტილის მოძრაობის განტოლება $OXYZ$ სისტემის მიმართ იმისათვის, რომ შეგვედგინა შემოთ აღწერილი მოძრაობის დანის რთული მოძრაობის განტოლებები, საჭირო იყო გაგვესაზღვრა Ox_1, Oy_1, Oz_1 კოორდინატა Ox_1, Oy_1, Oz_1 სისტემის თითოეული ღერძის მიერ შედგენილი კუთხეების კოსინუსები უძრავი $OXYZ$ კოორდინატა ღერძებთან, რომლებიც შესაბამისად აღვნიშნეთ:



ნახ. 1. ვერტიკალის მიმართ დასრულდებიან ფრეზული მუშა ორგანოს სქემა.

Ox_1 -ის მიერ OX, OY, OZ -ის მიმართ a_1, b_1, c_1

Oy_1 -ის მიერ OX, OY, OZ -ის მიმართ a_2, b_2, c_2

Oz_1 -ის მიერ OX, OY, OZ -ის მიმართ a_3, b_3, c_3

ეს მნიშვნელობები ჩაეწერეთ შემდეგი სახით:

ღერძები	Ox_1	Oy_1	Oz_1
OX	a_1	a_2	a_3
OY	b_1	b_2	b_3
OZ	c_1	c_2	c_3

ამ ცხრილს უწოდებენ კოორდინატა ღერძების მიმართულების კოსინუსების ცხრილს, რომლიდანაც ადვილად დაიწერება მექანიკის განტოლებები;

$$\left. \begin{aligned} X &= X_0 + a_1x + a_2y_1 + a_3z_1 \\ Y &= Y_0 + b_1x + b_2y_1 + b_3z_1 \\ Z &= z_0 + c_1x_1 + c_2y_2 + c_3z_3 \end{aligned} \right\}$$

ვინაიდან ჩვენი შემთხვევისათვის მოძრავ კოორდინატთა $OX_1Y_1Z_1$ სისტემა ბრუნავს OZ_1 ღერძის გარშემო, მოცემული მომენტისათვის მუდმივ α და β კუთხეების შემთხვევაში, ამიტომ დავწერთ:

$$\begin{aligned} X_1 &= r_2; & X_1 &= 0; & Z &= 0 \\ X_0 &= v_2 t; & Y_0 &= 0; & Z_0 &= 0 \end{aligned}$$

მაშინ, განტოლებათა სისტემა მიიღებს შემდეგ სახეს:

$$\left. \begin{aligned} X &= v_2 \cdot t + a_1 x_1 \\ Y &= b_1 x_1 \\ Z &= c_1 x_1 \end{aligned} \right\} \quad (5)$$

როგორც ვიცი, OX_1 ღერძმა A დანის M_0 წერტილიდან დანასთან ერთად დაიკავა OY_2 მდებარეობა ანუ M წერტილი. აღნიშვნის თანახმად ადვილად ვიპოვით იმ დამოკიდებულებას, რომლებიც ვილერის კუთხეებსა და ღერძების კოსინუსებს შორის არსებობს:

$$a_1 = \cos(OX_1, OX) = (\vec{i} \cdot \vec{i}') \quad (6)$$

$$b_1 = \cos(OX_1, OY) = (\vec{i} \cdot \vec{j}') \quad (7)$$

$$c_1 = \cos(OX_1, OZ) = (\vec{i} \cdot \vec{k}') \quad (8)$$

a_1 , b_1 და c_1 მიმართულების კოსინუსები შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც სათანადო ღერძების მგეზავების სკალარული ნამრავლები. მოძრავი ღერძების x_1 ; y_1 და z_1 -ის მგეზავები აღენიშნოთ \vec{i}' , \vec{j}' , \vec{k}' -თი, ხოლო უძრავი ღერძების x , y , z -ის \vec{i} , \vec{j} , \vec{k} ხოლო OX_1 , OY_1 და OZ_1 ღერძის მგეზავები, რომლებიც მართობა OX_1 -ის მიმართ OXY სიბრტყეში აღენიშნოთ \vec{x}_0 , $\vec{y}_{(0)}$ და \vec{z}_0 ვექტორებით, ადვილი შესაძინდება, რომ კუთხე OY_1 -სა და OZ_1 ღერძს შორის არის α კუთხის ტოლი. აქედან ცხადია, რომ \vec{i} ; \vec{j} ; \vec{k} ; \vec{i}' ; \vec{j}' ; \vec{k}' მგეზავები შეიძლება გამოისახოს \vec{x}_0 ; $\vec{y}_{(0)}$; \vec{z}_0 მგეზავებით, თუ წინა მგეზავებს გავშლით შემდგომი მგეზავების მიმართულებით მივიღებთ:

$$\vec{i} = \vec{x}_0 \cdot \cos \varphi + \vec{y}_{(0)} \cdot \sin \varphi \quad (9)$$

$$\vec{j} = \vec{x}_0 \cdot \cos \gamma - \vec{z}_0 \cdot \sin \gamma \quad (10)$$

$$\vec{j}' = \vec{z}_0 \cdot \cos \gamma + \vec{x}_0 \cdot \sin \gamma \quad (11)$$

$$\vec{k}' = \vec{k} \cdot \cos \alpha + \vec{y}_{(0)} \cdot \sin \alpha \quad (12)$$

$$a_1 = \cos(OX_1, OX) = (\vec{i} \cdot \vec{i}') \quad (13)$$



თუ შევიტანთ ამ (13) გამოსახულებაში \vec{r} და \vec{r}' მგზავების მნიშვნელობებს, მაშინ მივიღებთ:

$$\vec{a}_1 = (\vec{x}_0 \cdot \cos \varphi + \vec{y}_{1(0)} \cdot \sin \varphi) \cdot (\vec{x}_0 \cdot \cos \gamma - \vec{z}_0 \cdot \sin \gamma) \quad (14)$$

თუ (14) ფორმულაში სკალარულად გადავამრავლებთ, მივიღებთ:

$$(\vec{x}_0 \cdot \vec{x}_0) = 1; \quad (\vec{y}_{1(0)} \cdot \vec{x}_0) = 0; \quad (\vec{x}_0 \cdot \vec{z}_0) = 0$$

$$(\vec{y}_{1(0)} \cdot \vec{z}_0) = \cos \alpha$$

ამ მნიშვნელობების (13) ფორმულაში ჩასმით, მივიღებთ:

$$a_1 = \cos \varphi \cdot \cos \gamma - \sin \varphi \cdot \sin \gamma \cdot \cos \alpha \quad (15)$$

ანალოგიურად ვიპოვით b_1 და c_1 მიმართულების კოსინუსებს:

$$b_1 = \sin \gamma \cdot \cos \varphi + \cos \gamma \cdot \sin \varphi \cdot \cos \alpha \quad (16)$$

$$c_1 = \sin \varphi \cdot \sin \alpha \quad (17)$$

თუ a_1 , b_1 და c_1 -ის მნიშვნელობებს შევიტანთ (5) განტოლებათა სისტემაში და მოვახდენთ სათანადო გარდაქმნას, მივიღებთ სივრცითი ფრეზირების დროს დანის წებისმიერი წერტილის მიერ აღწერილი მრუდის განტოლებათა სისტემას პარამეტრული სახით უძრავი $OXYZ$ სისტემის მიმართ;

$$x = v_0 t + r_2 (\sin \beta \cdot \cos \varphi - \cos \beta \cdot \sin \varphi \cdot \cos \alpha) \quad (18)$$

$$y = r_2 (\cos \beta \cdot \cos \varphi + \sin \beta \cdot \sin \varphi \cdot \cos \alpha) \quad (19)$$

$$z = r_2 \cdot \sin \varphi \cdot \sin \alpha \quad (20)$$

თუ ამ განტოლებებიდან გამოვირიცხავთ t პარამეტრს, მივიღებთ დანის წერტილის მოძრაობის ტრაექტორიის (20); ფორმულა შეიძლება გადაიწეროს ასეთნაირად:

$$\sin \varphi = \frac{z}{r_2 \sin \alpha}; \quad \varphi = \omega t$$

$$t = \frac{1}{\omega} \cdot \arcsin \frac{z}{r_2 \cdot \sin \alpha} \quad (21)$$

შევიტანოთ t -ს მნიშვნელობა (18) და (19) განტოლებებში და ამასთანავე თუ გავითვალისწინებთ, რომ

$$v_0 = \frac{\omega \cdot r^2}{\lambda}$$

სადაც λ —წრიული v_0 და გადაადგილებითი სიჩქარის v_0 ფარდობაა:

$$\lambda = \frac{v_0}{V_0}$$

იღვალად დავწერთ:

$$x = \frac{r_2}{\lambda} \cdot \arcsin \frac{z}{r_2 \cdot \sin \alpha} + r_2 (\sin \beta \sqrt{1 - \frac{z^2}{r_2^2 \cdot \sin^2 \alpha}} -$$


$$y = r_2 \cos \beta \sqrt{1 - \frac{z^2}{r_2^2 \sin^2 \alpha}} + \sin \beta \frac{z}{r_2 \sin \alpha} \cos \alpha \quad (23)$$

მიღებული (18, 19, 20, 22, 23) განტოლებები შესაბამისად გამოსახევენ ფრეზული ღერძის ზოგადი მდებარეობის ($\alpha \neq 0, \beta \neq 0$) შემთხვევისათვის დანის მოძრაობის და აღწერილი ტრაექტორიის გაატოლებებს. თუ ამ განტოლებებში შევიტანთ α და β მნიშვნელობებს: $\alpha \neq 0, \alpha = 0, \beta \neq 0, \beta = \frac{\pi}{2}, \alpha = 0, \beta = 0$,

აღვლად მივიღებთ მე-2, 3, 4 შემთხვევისათვის დანის მოძრაობის განტოლებებსა და შესაბამის ტრაექტორიებს.

ვინაიდან, ფრეზული ღერძის ზოგადი მდებარეობის ($\alpha \neq 0, \beta \neq 0$) დროს დანის მიერ აღწერილი ტრაექტორიის გამოსახვა რთულია, ამიტომ მის ასაგებად გამოიყენებულ იქნა მხაზველობითი გეომეტრიის მეთოდები.

მე-2-ე ნახ.-ზე გრაფიკულად აგებულია დანის მოძრაობის ტრაექტორიები და მოცემულია შესაბამისი განტოლებები როგორც ფრეზული ღერძის



ნახ. 2. ფრეზული დანის მიერ აღწერილი ტრაექტორიები ღერძის I—II—III—IV მდებარეობისათვის.



ზოგადი ($\alpha \neq 0$), $\beta \neq 0$, ისე კერძოდ შემთხვევებისათვის: $\alpha \neq 0$, $\beta = 0$, $\alpha \neq 0$, $\beta = \frac{\pi}{2}$, $\alpha \neq 0$, $\beta = 0$, ყველა შემთხვევა აგებულია, როცა კინემატიკური მოძრაობა

ში $-\lambda = 3$ და დანის პირის მიერ შემოწერილი წრის რადიუსი $r = 0,16$ მ;

გვეცოდინება, რაც ფრეზული ღერძის ზოგადი მდებარეობისათვის დანის ნებისმიერი წერტილის მოძრაობის განტოლებები, ადვილად განვსაზღვრავთ დანის ნებისმიერი წერტილის აბსოლუტურ სიჩქარეს V_0 (18), (19) და (20) განტოლებების პირველი რიგის გადიფერენციალებით:

$$\dot{x} = -v_0 - \omega r_2 (\sin \beta \cdot \sin \omega t \pm \cos \beta \cdot \cos \omega t \cdot \cos \alpha) \quad (24)$$

$$\dot{y} = \omega r_2 (\sin \beta \cdot \cos \omega t \cdot \cos \alpha - \cos \beta \cdot \sin \omega t) \quad (25)$$


$$\dot{z} = \omega \cdot r_2 \cdot \cos \omega t \cdot \sin \alpha \quad (26)$$

როგორც ვიცი, წერტილის აბსოლუტური სიჩქარე ტოლია ამ წერტილის სიჩქარის გვეგმილების გეომეტრიული ჯამისა. ვინაიდან აბსოლუტურ სიჩქარეს უტოლებენ ქრის სიჩქარეს, ამიტომ დავწერთ:

$$v_0 = v_{3k} = \sqrt{\dot{x}^2 + \dot{y}^2 + \dot{z}^2} \quad (27)$$

აქ შევიტანთ (24, 25, 26) განტოლებების მნიშვნელობებს (27) ფორმულაში და მოვახდენთ სათანადო გარდაქმნებს, მივიღებთ:

$$v_{3k} = \omega r_2 \sqrt{1 + \frac{1}{\lambda^2} + \frac{2}{\lambda} \cos \omega t (\sin \beta + \cos \beta \cdot \cos \alpha)} \quad (28)$$



ნახ. 3. $(\frac{V_{3k}}{V_0})^2$ ფარდობის დამოკიდებულება დანის შემობრუნების φ კუთხესთან α და β კუთხეების სხვადასხვა მნიშვნელობის დროს.

(28) ტოლობა გამოსახავს ფრეზული დანის ქრის სიჩქარეს ღერძის ზოგადი მდებარეობისათვის, ე. ი. I-შემთხვევა. ფრეზული ღერძის II, III — IV მდებარეობისათვის დანის ქრის სიჩქარის მნიშვნელობა მიიღება (28) ტოლობაში α და β -ს სათანადო მნიშვნელობების შეტანით.



ფრეზული დანის ჭრის სიჩქარის (23) ტოლობის ანალიზიდან და მე-2-ე ნახ-ზე აგებული გრაფიკული დამოკიდებულებიდან გამოირკვეა, რომ ჭრის სიჩქარე ცვალებადი სიდიდეა და დამოკიდებულია შემდეგ ფორმულიდან:

$V_{გრ} = f(V_{\alpha}, \lambda, \varphi, \alpha, \beta)$.

უნდა აღინიშნოს, რომ ჭრისა და წრიული სიჩქარეთა ფარდობის მნიშვნელობანი, როცა $\varphi = 90^\circ$; α და β კუთხეების სხვადასხვა მნიშვნელობის დროს წერტილში უტოლდებიან ერთმანეთს. ეს კი საშუალებას იძლევა, რომ ფრეზულმა იარაღმა იმუშაოს რამდენადმე შემცირებულ ჭრის სიჩქარეზე. როცა $\varphi = 90^\circ$ -ს, მაშინ ჭრის სიჩქარე აღარ არის დამოკიდებული α და β კუთხეების ცვალებადობაზე. ჭრის სიჩქარის ეს თვისება, ფრეზული ლერძის დახრის შემთხვევაში, დადებით გავლენას მოახდენს ფრეზირების ხარისხობრივ მაჩვენებლებზე: როგორცაა უკეთეს ურთიერთშერევაზე, ქვიან ნიადაგებში დანების გატეხვათა რიცხვისა და სამუშაო ორგანოზე სარეველების დახვევის შემცირებაზე.

ამგვარად, ფრეზული სამუშაო ორგანოს ბრუნვის ლერძის დახრის α და მისი გეგმილის მიერ შედგენილი β კუთხეები ნიადაგის დამუშავების სახეს მიხედვით, როგორც ანალიზური კვლევა გვიჩვენებს, ფრეზირების ტექნოლოგიურ პროცესებზე დადებით გავლენას ახდენენ. ამიტომ თეორიული მსჯელობით მიღებულ დანის მოძრაობის განტოლებებს და ჭრის სიჩქარის გამოსათვლელ ფორმულებს პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება ფრეზირების პროცესის დახასიათებისათვის.

Асп. Дж. Я. ЗАНГАЛАДЗЕ.

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ КИНЕМАТИКИ ПРОСТРАНСТВЕННОГО
ФРЕЗЕРОВАНИЯ

Руководитель Проф. М. М. ГУГУШВИЛИ

Резюме

В статье рассматривается теоретическое исследование почвообрабатывающего фрезерного рабочего органа с вертикальной осью вращения, имеющей отклонение от вертикали в продольно-вертикальном и поперечно-вертикальном направлениях.

Кинематический анализ движения некоторой точки режущей кромки фрезерного ножа проведен в следующих вариантах отклонения оси вращения:

1. Ось вращения отклонена от вертикали на угол α и проекция

составляет угол β к продольному направлению в горизонтальной плоскости т. е. $\alpha \neq 0$; $\beta \neq 0$;

2. Ось вращения отклонена от вертикали в продольно-вертикальной плоскости, т. е. $\alpha \neq 0$; $\beta \neq 0$;

3. Ось наклонена к вертикали в поперечно-вертикальной плоскости, т. е. $\alpha \neq 0$; $\beta = \frac{\pi}{2}$;

В результате аналитических исследований выведены уравнения движения фрезерных ножей с вертикальной осью вращения в параметрическом виде, как для общего случая $\alpha \neq 0$; $\beta \neq 0$.

$$\begin{cases} x = V_{\mu} \cdot t + r_2(\sin\beta \cdot \cos\varphi - \cos\beta \cdot \sin\varphi \cdot \cos\alpha) \\ y = r_2(\cos\beta \cdot \cos\varphi + \sin\beta \cdot \sin\varphi \cdot \cos\alpha) \\ z = r_1 \cdot \sin\varphi \cdot \sin\alpha \end{cases}$$

так и для частных случаев ($\alpha \neq 0$; $\beta \neq 0$; $\alpha \neq 0$; $\beta = \frac{\pi}{2}$)

где V_{μ} — поступательная скорость фрезерного рабочего органа.

t — время перемещения фрезерного рабочего органа.

r_2 — радиус окружности, вписываемой наружной точкой фрезерного ножа;

φ — угол поворота фрезы.

Составлены формулы определяющие скорости резания — $V_{рез}$ ножа, как для общего случая

$$V_{рез} = V_0 \sqrt{1 + \frac{1}{\lambda^2} + \frac{2}{\lambda} \cos\varphi (\sin\beta + \cos\beta \cdot \cos\alpha)}$$

так и для частных случаев,

где V_0 — окружной скорости фрезерного ножа

$\lambda = \frac{V_0}{V_{\mu}}$ — кинематический режим работы фрезерной машины;

Из анализа формулы скорости резания и построенных графических зависимостей уяснено, что скорость резания является переменной величиной и зависит от следующих параметров:

$$V_{рез} = f(V_0, \lambda, \varphi, \alpha, \beta)$$

Следует отметить, что профили, соответствующие осенней вспашке „вразвал“ и весенней вспашке „всвал“ получаются для того случая фрезерования, когда $\alpha \neq 0$; $\beta \neq 0$; а приближение к корневой шейке виноградного куста и возможность уменьшения защитной полосы создаё-



тся тогда, когда ось вращения расположена в поперечной вертикальной плоскости и отклонена от вертикали, т. е., $\alpha \neq 0$; $\beta = \frac{\pi}{2}$ პერივესული გიბლიწთეკა

Исследованием установлено, что фрезы с наклонными осями дают лучший режим фрезерования.

ლიტერატურა

1. გორგიძე ა. ი.—თეორიული მექანიკის კურსი, ნაწილი I—II, თბილისი, 1961.
2. Далин К. Д., Павлов Г. В.—Ротационные грунтообрабатывающие и землеройные машины, Машгиз, л. 1950
3. Гринчук И. М.—Аналитические исследования фрезерных машин НТС ВИСХОМА № 25, М. 1968.
5. Попов Г. Ф.—К расчету рабочих органов почвообрабатывающих фрез, „Журн. Тракт. и с/х машины,“ № 2, 1967.
5. Хоанг чиен—Выбор режима работы почвофрезы с вертикальной осью вращения журнал МЭСХ. № 2, 1968.



ზ. ჭიჭინაძე, ნ. სურგულაძე

მობილური საკვებსარიგებლის ლაბორატორიული გამოცდის შედეგები

როგორც ცნობილია, მობილური სარიგებლის მიერ ერთ გრძივ მეტრზე დარიგებული საკვების რაოდენობა დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე და მათ შორის, გრძივი ტრანსპორტიორისა და ტრაქტორის გადაადგილების სიჩქარეზე, საწვავის მიწოდების რაოდენობაზე, საკვების მოცულობით წონაზე, აღნიშნული ფაქტორების ზუსტად დაცვა და მათი წინასწარი გათვალისწინება უძნელდება ტრაქტორისტ-მეცხოველეს, რის გამოც დარიგებული საკვების რაოდენობა მოსული კვების ფრონტის ერთეულზე ხშირად რამდენადმე მეტი ან ნაკლებია ნორმასთან შედარებით. ეს გათვლილი იქნება ან საკვების გადახარჯვას და მის დანაკარგებს, ანდა პირუტყვი ვერ იღებს მას საჭირო რაოდენობით, რასაც თან მოსდევს პროდუქტიულობის შემცირება და თვითღირებულების ზრდა.

იმ მიზნით, რომ შეგვესწავლა ეს საკითხი, ჩვენატარეთ $KTY-10$ საკვებ-სარიგებლის ლაბორატორიული გამოცდა. ამ გამოცდის ძირითადი მიზანი იყო დაგვეყარებინა ზემოთ აღნიშნულ ფაქტორებს შორის გრაფიკული კავშირი და შეგვედგინა ნომოგრამა, რომლის დახმარებითაც ტრაქტორისტს გაუადვილდებოდა საკვების გაცემის დადგენილი ნორმის დაცვა.

საკვებსარიგებლის მწარმოებლობასა, დარიგების ნორმასა და ტრაქტორის (აგრეგატის $KTY-10+MT3-50$) გადაადგილების სიჩქარეს შორის არსებობს დამოკიდებულება


$$Q = qv \text{ კგ/წმ}, \quad (1)$$

სადაც Q არის საკვებსარიგებლის (გრძივი ტრანსპორტიორის) წამური მწარმოებლობა;

q —საკვების დარიგების დადგენილი ნორმა ერთ გრძივ მეტრზე;

v —აგრეგატის გადაადგილების სიჩქარე მ/წმ-ობით.

როგორც (1) ტოლობიდან ჩანს საკვების გრძივ მეტრზე დარიგების ერთი და იგივე ნორმა შეგვიძლია მივიღოთ Q -სა და v -ს სხვადასხვა მნიშვნელობის დროს. ცხადია, თუ Q -ს და v -ს მივეცემთ სხვადასხვა მნიშვნელობას მივიღებთ q -ს სხვადასხვა მნიშვნელობას და მოცემული სიდიდებით ავაგებთ გრაფიკს (ნახ. 1 ნომოგრამის 1 მეთოხედი), მივიღებთ დამოკიდებულებას ამ სიდიდეებს შორის. ეს დამოკიდებულება გამოსახულია სწორი ხაზის კანონით.



ნახ. 1.

ცხადია, თუ ასეთ გრაფიკებს ავაგებთ, $q=5, 10, 15, 20$ და ა. შ. მიიწვევლობებისათვის მივიღებთ სხივთა კონას, რომლებიც დააკავშირებს ერთმანეთთან ამ სამ პერამეტრს ($Q; q; P$.)

თუ წინასწარ ვიცით ერთ გრძივ ტეტრზე დასარიგებელი საკვების რაოდენობა (q) და სარიგებლის მუშაობის აღებულ რეჟიმზე მისი მწარმოებლობა, ამ გრაფიკებით ადვილად შეგვიძლია დავადგინოთ ტრანქტორის (აგრეგატის) მოძრაობა (გადაადგილების) საჭირო სიჩქარე (v).

ამავე გრაფიკების დახმარებით შეგვიძლია დავადგინოთ სტაციონარული საკვებსარიგებლის (მაგ., TBK—30A-ს) ტრანსპორტიორის გადაადგილების საჭირო სიჩქარე (v), თუ ცნობილია მის ბუნჯერში საკვების მიმწოდებელი საშუალების (მაგ, მობილური საკვებსარიგებლის KTY—10) მწარმოებლობა (Q) და დარიგების საჭირო ნორმა (q).

საკვებსარიგებლის მწარმოებლობა, მისი კონსტრუქციული პარამეტრებიდან გამომდინარე, ძირითადად დაქოცილებულია ძარას გაბარიტულ ზომებზე (სივანე, მასის დაწყოების სიმაღლე, ტრანსპორტიორის მოძრაობის სიჩქარესა და დასარიგებელი მასის მოცულობით წონაზე.

მწარმოებლობა შეიძლება გავიანგარიშოთ ტოლობიდან

$$Q = BHv_{\gamma} \text{ კგ/წმ} \quad (2)$$

სადაც B არის ძარას სამეშაო სივანე მეტრობით,

H —ძარაში პროდუქტის (საკვების) დაყრის სიმაღლე,

v_{γ} —ტრანსპორტიორის (გრძივი) გადაადგილების სიჩქარე, ხოლო γ დასარიგებელი მასის მოცულობითი წონა.



ამ ტოლობაში $BH=2 \text{ მ}^2$ არის მუდმივი სიდიდე. ცვალებადობის მქონეა γ -ს ადებული მნიშვნელობისათვის [(100, 200, 300 გ/სმ³)] გავიანგარიშებთ v_0 სხვადასხვა მნიშვნელობისათვის (0,01, 0,02 და ა. შ. მ/წმ) გავიანგარიშებთ Q -ს მნიშვნელობას და მიღებულ მოსაცემებით ავაგებთ გრაფიკს Q -სა v_0 -ს კოორდინატებში, აქაც მივიღებთ სხივთა კონას, რომელიც დააკავშირებს ერთმანეთთან Q -ს, γ და v_0 (ნახ. 1. ნომოგრამის II მეოთხედი).

აგებული გრაფიკის დახმარებით, მოცემული აგრეგატისათვის, განვიტრანსპორტიორის ნებისმიერი სიჩქარისათვის, თუ წინასწარ მოცემულია დასარიგებელი საკვების მოცულობითი წონა (γ), შეგვიძლია განვსაზღვროთ მანქანის წამერი მწარმოებლობა. უფრო ხშირად შეიძლება მოცემული გვექნეს მანქანის საჭირო მწარმოებლობა (Q), მაშინ ამ გრაფიკის დახმარებით შეგვიძლია დავადგინოთ განივი ტრანსპორტიორის გადაადგილების საჭირო სიჩქარე (v_0).

განივი ტრანსპორტიორის სიჩქარე (v_0), თავის მხრივ, დამოკიდებულია საკვების გამაყრის სარეგულაციო სექტორის მდებარეობაზე (სექტორს აქვს საშუალება დაიკავოს 8 მდგომარეობა 1, 2, 3, 4, 5, 6, 7 და 8) და ძალამართმევი ლილვის ბრუნთა რიცხვზე.

ტრანსპორტიორის სიჩქარე შეიძლება განვსაზღვროთ ტოლობიდან.

$$V_0 = v_0 \cdot \frac{d}{2} = \frac{\pi n_0}{30} \cdot \frac{d}{2} \quad (3)$$

სადაც d არის განივი ტრანსპორტიორის წამყვანი (ამძრავი), ვარსკვლავანას საწყისი დიამეტრი, ხოლო n_0 ამ ვარსკვლავანას ბრუნთა რიცხვი.

ცხადია, განივი ტრანსპორტიორის სიჩქარე v_0 უზრუნველყოფილი იქნება თუ ხრუტუნა ბორბალი და მასთან ერთად ამძრავი ვარსკვლავანიც—1 წამის განმავლობაში შემობრუნდება კუთხით.

$$\alpha = 2 \frac{V_0}{d} \quad \text{რად/წმ} \quad (4)$$

ამძრავი ვარსკვლავანას ბრუნთა რიცხვი, ცხადია, დამოკიდებულია ძალამართმევი ლილვის ბრუნთა რიცხვზე და გადაცემის რიცხვზე ლილვიდან წამყვან ვარსკვლავანამდე. KTY—10-ის კონსტრუქციაში იგი ტოლია $i=5,62$, მაშასადამე,

$$n_0 = \frac{n_{\text{ლილ.}}}{i} \quad (\text{ბრ/წმ}) \quad (5)$$

თუ (5) ტოლობას შევიტანთ (3)-ში, მივიღებთ:

$$v_0 = \frac{\pi n_{\text{ლილ.}}}{30 i} \cdot \frac{d}{2} \quad \text{მ/წმ} \quad (6)$$

როგორც (4) და (3) ტოლობების ურთიერთშედარებით ვერწყმუნდებით წამყვანი ლილვის კუთხური სიჩქარე დამოკიდებულია ხრუტუნა ბორბლის დროის ერთეულში შემობრუნების კუთხის სიდიდეზე. ამ კუთხის მნიშვნელობა კი იცვლება სარეგულაციო ბერკეტის მდგომარეობით (1, 2, 3, 4, 5, 6, 7 და 8).



თუ სარეგულაციო ბერკეტის ყოველი მდგომარეობისათვის და ძალამართველი ლილვის სხვადასხვა მნიშვნელობისათვის განვსაზღვრავთ ტრანსპორტიორის გადაადგილების სიჩქარეს, აქაც მივიღებთ განსაზღვრულ მნიშვნელობას (ნახ. 1. ნომოგრამის III მეოთხედი).

ძალამართველი ლილვის ბრუნვითა რიცხვი დამოკიდებულია საწვავის მიწოდების სიდიდეზე. თუ ტრაქტორის საწვავის სარეგულაციო ბერკეტს დავაყენებთ სხვადასხვა მდგომარეობაში (ცდის დროს იზომებოდა ბერკეტის შუალედური რგოლის დაშორება ერთი გარკვეული წერტილიდან) და ტანომეტრით გავზომავთ ლილვის ბრუნვას რიცხვს, მივიღებთ მონაცემებს, რომლებიც ერთმანეთთან დააკავშირებს ამ ორ სიდიდეს. ამ მონაცემების საფუძველზე აიგო გრაფიკი (სურ. 1, ნომოგრამის IV მეოთხედი), რომელიც აკავშირებს საწვავის რაოდენობის სარეგულაციო ბერკეტის მდგომარეობას (I) ძალამართველი ლილვის ბრუნვითა რიცხვთან.

მიღებული ეს ოთხი დიაგრამა მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან და საშუალებას გვაძლევს მეტად მოხერხებულად და მარტივად დავადგინოთ საკვებისარჩევლის ($KTY-10+MT3-50$) სამუშაო პარამეტრები. კერძოდ, თუ მოცემული გვაქვს გრძივ მეტრზე დასაჩივებული საკვების რაოდენობა (q) და ვიცით საკვების მოცულობითი წონა და ტრაქტორის გადაადგილების სიჩქარე, შეიძლება განვსაზღვროთ სარჩევლის წაძვრი მწარმოებლობა (ან საათური), ვანივი ტრანსპორტიორის საჭირო სიჩქარე, ე. ი. შევარჩიოთ სარეგულაციო ბერკეტის მდგომარეობა. შერჩეული მდგომარეობისათვის განვსაზღვროთ ძალამართველი ლილვის საჭირო ბრუნვითა რიცხვი და მისი საშუალებით დავადგინოთ საწვავის რაოდენობის სარეგულაციო ბერკეტის მდგომარეობა (ნომოგრამაზე წერტილები $E, D, D', C, C', B, B', A$ და A').

თუ ცნობილია საწვავის რაოდენობის სარეგულაციო ბერკეტისა და სარეგულაციო სექტორის მდგომარეობა და ვიცით დასაჩივებული საკვების მოცულობითი წონა, შეგვიძლია დავადგინოთ ყველა სხვა პარამეტრი. სახელდობრ, ვანივი ტრანსპორტიორის სიჩქარე (q), მანქანის მწარმოებლობა (Q), გრძივ მეტრზე დარჩეული საკვების წონა და დავადგინოთ ამისათვის აგრეგატის საჭირო სიჩქარე (V_0).

როგორც წინათ აღვნიშნეთ, ეს ნომოგრამა შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც მობილური საკვებისარჩევლით საკვების დარიგებისას (ე. ი. აგრეგატი $KTY-10+MT3-50$), ამ შემთხვევაში V_0 —იქნება საკვების დარიგების მომენტში აგრეგატის გადაადგილების სიჩქარე, ასევე სტაციონარული საკვებისარჩევლის გამოყენების დროს (ე. ი. როცა გვაქვს აგრეგატთა კომბლექსი $KTY-10+MT3-50+TBK-80A$). ამ შემთხვევაში V_0 —გამოსახავს ტრანსპორტიორის ლენტის (საფხეკების) გადაადგილების სიჩქარეს.



Резюме

Равномерность раздачи кормов при использовании мобильных раздатчиков зависит от многих факторов, а именно: от скорости продольного транспортера (от положения регулятора храпового механизма) и скорости передвижения агрегата, от объемного веса раздаваемого корма и величины подачи топлива и т. д. Ввиду этого трактористу-животноводу не всегда удается выдача установленной нормы корма.

С целью облегчения тракториста-животновода в соблюдении нормы и выдачи корма и для облегчения выбора соответствующих рабочих параметров агрегата, нами на основе лабораторно-производственных испытаний агрегата (КТУ—10+МТЗ—50), составлена номограмма, с помощью которой легко можно установить рабочие параметры агрегата, если дана норма выдачи корма на погонный метр кормушки, т. е. можно получить скорость продольного транспортера (положение регулятора храпового механизма), скорость передвижения агрегата и положение дросельной заслонки (величина подачи топлива).



ა. ჩიხლაძე, ი. დოლიძე,
ბ. სიხარულიძე

ЛМГ—1 მარკის ტყის სარგავი მანქანის მუშაობის ტექნოლოგიური პროცესის გამოკვლევა

ტყის სარგავი მანქანა ЛМГ—1 დანიშნულია ტყისა და ხეხილის ერთ-წლიანი ნერგების დარგვისათვის, რომელთა საერთო სიგრძე 40 სმ-ს არ აღემატება. აღნიშნულ მანქანას მეშაობა შეუძლია 12°-იანი დახრილობის ფერდობებზეც, რომელზედაც მოწყობილია 3,5 მ ვაკისის მქონე ტერასები.

ЛМГ—1 ტყის სარგავი მანქანა შედგება შემდეგი ძირითადი კვანძებისა და დეტალებისაგან. უძრავი და მოძრავი ჩარჩოსაგან, სარგავი აპარატის პარალელოგრამული მექანიზმისა, ნერგების მიმღებისა, კვალსახსნელისა, მიმტკეპნი საგორავეებისა, საყრდენი თვლებისაგან და სხვ.

უძრავი ჩარჩო წარმოადგენს სხვადასხვა სიხის ფოლადისაგან შემდგარ შედუღებულ კონსტრუქციას.

მიმღები მაგიდა, ყუთები, საჩრდილობელი, ჩარჩო, საჯდომები, პარალელოგრამის მექანიზმი მონტაჟდება უძრავ ჩარჩოზე.

მოძრავ ჩარჩოზე დამონტაჟებულია მიმტკეპნები, სარგავი აპარატი, ძრავის გადაცემა კბილანები, პარალელოგრამული მექანიზმი და სხვ. მრგველი აპარატის დამტკეპნებს ნერგები გადააქვთ კვალში, რომელსაც აკეთებს კვალგამხსნელი.

აპარატი ნერგების დარგვის აწარმოებს მცენარეთა შორის შემდეგი მანძილით 0,54; 0,81; 1,08, 1,62; 3,24 მ; სარგავ აპარატზე ამისათვის დაყენებულია 1÷4 დამტკეპრი. სარგავი აპარატის ლილვს აქვს ხრტულა ტიპის დამცველი.


ნერგების დამტკეპრი შედგება უძრავი ნაწილისაგან, ღეროებისა და მოძრავი ნაწილისაგან, რომელიც უძრავ ღეროსთან დამაგრებულია სახსრულად ზამბარის ქვეშ. მოძრავ დამტკეპრ ღერძს აქვს მუხლა გაორგოლაკი. დამტკეპრის ლოყები დაფარულია მორეზინებული მასალით.

უძრავი და მოძრავი ჩარჩო დაკავშირებულია პარალელოგრამული მექანიზმით, რითაც ნიადაგის მიერთრელების კომპირირება ხდება.



ნერგების მიმღები წარმოადგენს მაგიდას გრძივი კრილით და სამბარო-
ვანი ფირფიტებით ნერგების მოსათავსებლად დამჭერის მოსვლამდე
მცენარეთა სიღრმეზე ერთნაირი ჩარგვის დაცვისათვის სარგებლობის
აქვს საეციალო მექანიზმი.

მიმტკეპნი დაყენებულია კუთხით ვერტიკალთან. ერთ-ერთ მათგანზე
მიდღებულა დეზები. მიმტკეპნის ძალის რეგულირებისათვის მოძრავ და უძ-
რავ ჩარჩოს შორის დაყენებულია მოძრავი ზამბარა. ნიადაგში კვალგამხსნე-
ლის სელის სიღრმე რეგულირდება საყრდენი თვლებით. თვლების სამალე-
ზე დაყენება წარმოებს სახელურებიდან ზრახნის ჩახრახენით ან აპოხრახენით



ნახ. 1. ა, ბ. დამჭერის ტრანქტორისა და დარგვის ბიჯის განსაზღვრა.

სარგავი აპარატით დარგვის პროცესი შემდეგნაირად სრულდება. ორი
დამრგველი მუშა, ხელით მორიგეობით ათავსებენ ნერგებს მიმღები მაგიდის
ზამბარულ ფირფიტებში. დამჭერები, რომლებიც ბრუნავენ ღერძის გარშემო,
იჭერენ ნერგს თავის ყბებში და გადააქვთ იგი კვალგამხსნელში. ძრავის გა-
დაცემის რიცხვი ისეა შერჩეული, რომ ვერტიკალურ მდგომარეობაში მისე-
ლისას ნერგის აბსოლუტური ძრავის სიჩქარე ნულთან ახლოა.

ამ მომენტში ნერგის ფესვთა სისტემას მიეყრება და მიეტკეპნება ნიადა-
ვი, დამჭერი იხსნება და მზადაა ახალი ნერგის მისაღებად.

როგორც აღვნიშნეთ, სარგავი აპარატის ლილვი ბრუნვას ღებულობს
კბილანური გადაცემის მეშვეობით. მიმტკეპნი საგორავის ღერძიდან (ნახ. 1).
კბილანების კბილთა რიცხვებია $z_1=20$, $z_2=18$; $z_3=34$ -ს, ე. ი. გადაცემის რი-
ცხვი ტოლია:

$$i = \frac{z_1}{z_2} \cdot \frac{z_3}{z_3} = \frac{20}{18} \cdot \frac{18}{24} = 0,588.$$

თუ არ მივიღებთ მხედველობაში მიმტკეპნების ნაწილობრივ სრიალს, რომელიც იცვლება 6—11%-მდე. ნიადაგის ტენიანობასთან დამოკიდებულებით მიმტკეპნის კუთხური სიჩქარე (ω) ცხადია, იქნება:

$$\omega = \frac{V_{აა.}}{R_{აა.}}$$

სადაც $V_{აა.}$ არის მანქანის გადაადგილების სიჩქარე. $R_{აა.}$ მიმტკეპნის რადიუსი ($R_{აა.} = 25$ სმ).

მეორე მხრივ, ძრავის გადაცემის რიცხვი სარგავი აპარატის ღერძზე ტოლია $i = \frac{\omega_2}{\omega_{აა.}}$, ანდა კუთხური სიჩქარე სარგავი აპარატის ღერძზე იქნება

$$\omega_2 = i \omega_{აა.}, \quad (1), \text{ ან}$$

$$\omega_2 = i \frac{V_{აა.}}{R_{აა.}}, \quad (2)$$

აქედან ნერგების დამჭერის შუა წერტილის წრიული სიჩქარე, თუ მისი მრუდის რადიუსი არის R_2 , იქნება

$$V = \omega_2 \cdot R_2 = i V_2 \cdot \frac{R_2}{R_{აა.}}$$

